



სსიპ ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ლილი მელანაშვილი
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

მოსწავლეთა სამეცნიერო ქცევის წარმართვა მიზნისა და
კონტექსტის შესაბამისად ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე
მე-5 კლასში

ქ. ბათუმი
2018-2019 წ.წ.

სარჩევი

შესავალი.....	3
საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	5
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
კვლევის მეთოდები და ინტრუმენტები	11
დროის გეგმა	12
კვლევის მონაცემთა ანალიზი	14
მშობელთა ანკეტირების შედეგები.....	19
მასწავლებელთა ანკეტირების შედეგები.....	20
დასკვნები, მიგნებები	20
ინტერვეციების აღწერა, შეფასება	22
ინტერვეციები მოსწავლეთა წიგნიერების დონის ასამაღლებლად.....	22
ინტერვეცია 1. მკითხველთა კლუბი.	22
ინტერვეცია 2. პოეზიის ხუთი წუთი	23
ინტერვეცია 3. საინტერესო თემა	23
ინტერვეციები ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის.....	24
ინტერვეცია 1. პატარა ლექსიკოგრაფი	25
ინტერვეცია 2- სიტყვების ყუთი	25
ინტერვეციები ტრანსფერის უნარის განვითარებისათვის.....	26
ინტერვენცია 1 .დღის სიტყვა.	27
ინტერვენცია 2- აღადგინე სიტყვა.....	27
ინტერვენცია 3-პატარა მეზღაპრე	27
ინტერვეციები ყურადღების მობილიზებისა და მოსმენის კულტურის ამაღლებისათვის	28
ინტერვეცია 1- მაინტერესებს, ვისმენ, ვიმეორებ	28
ინტერვეცია 2-სამკუთხედის სამი გვერდი.....	28
დასკვნა.....	31
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:.....	33
დანართი	34

„ადამიანმა უნდა გამოთქვას თავისი აზრები.
ეს უფლება კი არა, მოვალეობაა“
პერსი ბიშ შელი (ინგლისელი პოეტი)

შესავალი

დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები წარმოადგენს არა შემთხვევით ნაკრებს, არამედ ერთ მთლიან სისტემას. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, სწავლების ენაა, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. სწორედ ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება. ჩემი კვლევის ინტერესის საგანი ზეპირმეტყველებაა, კერძოდ, მოსწავლეების მიერ სამეტყველო ქცევის მართვა.

სტანდარტის თანახმად, V-VI კლასებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალური და ჯგუფური საკომუნიკაციო უნარების, ასევე თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებას. „ენა აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალებაა. შესაბამისად, მისი სწავლება ენის ამ ორი უმთავრესი ფუნქციის წინ წამოწევასა და პრიორიტეტულ მიზნად დასახვას უნდა ემსახურობდეს. სწავლების მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად

შეფასებისა და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვისათვის, ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად. ენის სწავლების ეს კომპონენტი სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად.“(ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, დაწყებითი საფეხური, 2018-2024)

დღევანდელი სკოლის უმთავრესი გამოწვევა განათლებული, თავისუფალი, მოაზროვნე, მაღალი სოციალური უნარების მქონე თაობის აღზრდაა, რაც საკომუნიკაციო უნარებისა და თვითგამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარების გარეშე შეუძლებელია. დღეს, სამწუხაროდ, მოსწავლეების მიერ(განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) სამეტყველო უნარების წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში არსებულმა პრობლემებმა გადამაწყვეტინა მემუშავა ამ საკითხზე და კვლევის შედეგები განმეზოგადებინა ჩემს მუშაობაში, ასევე მიღებული გამოცდილება გამეზიარებინა აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული კოლეგებისათვის.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ანგარიშს პრაქტიკული კვლევისა, რომლის მიზანი იყო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის წარმართვაში არსებული პრობლემების გამოკვეთა, გაანალიზება, შეფასება და მათი გადაჭრის გზების დასახვა. ჩემი მიზანი იყო აღნიშნული მიმართულებით არსებული ცოდნის გაღრმავება, ახალი ცოდნის გენერირება, შემდგომ გამოყენება და გავრცელება.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

მასწავლებლის პროფესიული მოღვაწეობა მუდმივ ძიებასა და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში სიახლეების დანერგვას უნდა ეფუძნებოდეს. „ის, ვისაც შეუძლია ახლის აღმოჩენა, მასწავლებლობის ღირსია“ (კონფუცი). მასწავლებელი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს, მონიტორინგს უწევდეს და აფასებდეს თითოეულ მოსწავლეს სწავლების ყველა ეტაპზე. მათი სასწავლო შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, გეგმავდეს თითოეული მოსწავლისათვის გარკვეულ ღონისძიებებს. ვფიქრობ, მასწავლებელმა საკუთარ სამუშაო პროცესსა და პრაქტიკაზე დაკვირვებით უნდა შეძლოს სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზი და შემდგომი სამუშაო პროცესის დაგეგმვა.

სასწავლო პროცესი მასწავლებელს არაერთი პრობლემის წინაშე აყენებს. მათ შორის დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება მოსწავლეთა ზეპირმეტყველებაში არსებული პრობლემები. დაწყებით საფეხურზე ზეპირმეტყველების განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე არაერთ ასპექტს მოიცავს, რისი დამლევაც ხშირად მოსწავლეებისათვის სირთულეს წარმოადგენს.

მე-5 კლასში ზეპირმეტყველების მიმართულებით, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ საკუთარი სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად, რაც ხშირად პრობლემა-მოსწავლეებს უჭირთ მოსმენილის გადმოცემა, თხრობა, საკუთარი აზრის, პირადი დამოკიდებულებების გამოხატვა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის გაგება-გააზრების პროცესებს. ცხადია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ენის, როგორც აზროვნებისა და კომუნიკაციის საშუალების, ამ ორი უმთავრესი ფუნქციის წინ წამოწევისა და პრიორიტეტულ მიზნად დასახვას. როცა პედაგოგი ამ მხრივ პრობლემას აწყდება, მისი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს, დაეხმაროს თავის მოსწავლეებს დაძლიონ ის სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის მათ გამოიმუშაონ სამეტყველო ქცევის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის განმავლობაში არაერთხელ გამოკვეთილა პრობლემა მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარებთან

დაკავშირებით. ლაპარაკი და მოსმენა ის მნიშვნელოვანი სამეტყველო ქცევაა, რომლის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადყოფი პიროვნების ჩამოყალიბება. შესაბამისად, როცა სამეტყველო ქცევა პრობლემურია, ეს ფაქტორი უარყოფითად აისახება ეროვნული სასწავლო მიზნების განხორციელებაზე.

სასწავლო პროცესში ხშირად ვაწყდებოდი სირთულეებს სწორედ იმის გამო, რომ მოსწავლეები გაკვეთილებზე ვერ ახერხებენ საკუთარი აზრის გადმოცემას გაგების დონეზეც კი. ხშირად მოსწავლეთა ნათქვამიდან აზრის გაგება ჭირს, მათი მეტყველება არასწორი ენობრივი კონსტრუქციებითაა დატვირთული, ხშირია გრამატიკული შეცდომებიც. მნიშვნელოვანია ამ მხრივ მოსწავლეთა ყურადღების დეფიციტი გაკვეთილებზე, მოსმენის კულტურის არქონა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დაწყებით საფეხურზე და თუ ის ამ საფეხურზე არ აღმოიფხვრა, საბაზო და საშუალო საფეხურზეც პრობლემად დარჩება.

აღნიშნული პრობლემა არაა ლოკალური ხასიათის. კოლეგებთან კონსულტაციისას გამოიკვეთა, რომ ეს პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას თითქმის ყველა სასწავლო საგნის სწავლებისას და არა მარტო დაწყებით საფეხურზე. შესაბამისად, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება იმ პედაგოგებისთვისაც, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას ხშირად აწყდებიან თავიანთ პედაგოგიურ საქმიანობაში.

ნებისმიერი პრობლემის კვლევა და მის აღმოსაფხვრელად გარკვეული ინტერვეციების განხორციელება პრობლემის სწორი დეფინიციით უნდა დაიწყოს.

მაშასადამე, რა არის პრობლემა? მოსწავლეს არ შეუძლია საკუთარი სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

პრობლემის არსიდან გამომდინარე, დაისვა კვლევის მთავარი კითხვა-როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა სამეტყველო ქცევა, რათა მოსწავლემ შეძლოს მისი წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად?

პრობლემის არსისა და მთავარი კითხვის შესაბამისად გამოიკვეთა კვლევის მიზანიც-მოსწავლემ შეძლოს თავისი სამეტყველო ქცევის გაუმჯობესება და მისი წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

კვლევის არსი და დანიშნულება, რა თქმა უნდა, მისი მიზნის მიღწევას. მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, იმ სავარაუდო მიზეზების იდენტიფიცირება, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას ქმნის. ჩემი პირადი გამოცდილებისა და კოლეგებთან კონსულტაციის საფუძველზე გამოიკვეთა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზებია:

- წიგნიერების დაბალი დონე;
- მწირი ლექსიკური მარაგი;
- ტრანსფერის უნარის არქონა;
- ყურადღებისა და მოსმენის კულტურის დეფიციტი;

პრობლემის ზემოთ აღნიშნული სავარაუდო მიზეზებიდან გამომდინარე, განისაზღვრება კვლევის ამოცანა-პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წიგნიერებას ზეპირმეტყველების განვითარებაში ?
- როგორ გააუმჯობესებს მდიდარი ლექსიკური მარაგი მოსწავლის მიერ საკუთარი სამეტყველო ქცევის წარმართვას?
- რა კავშირშია ტრანსფერის უნარის არქონა მოსწავლის სამეტყველო უნარ-ჩვევებთან?
- რატომ უშლის ხელს ყურადღების დეფიციტი და მოსმენის დაბალი კულტურა მოსწავლეს სწორად წარმართოს თავისი სამეტყველო ქცევა?

აღნიშნული პრობლემის არსებობა არაერთ თანმდევ პრობლემას იწვევს,ესენია:

- მოსწავლეთა მხრიდან საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება;
- დისკუსიებში, დებატებში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- თვითგამოხატვის დეფიციტი;
- თანაკლასელებთან კომუნიკაციის ნაკლებობა;
- თვითშეფასების დაბალი დონე;

ყოველივე ეს კი საბოლოოდ ხელს შეუშლის თანამედროვე, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზანია.

ლიტერატურის მიმოხილვა

მეტყველება, როგორც ადამიანის თვითგამოხატვის საშუალება, მუდამ იყო შეფასებისა და განსჯის საგანი. „ცუდად გადმოცემული მშვენიერი აზრიც კი ფასს კარგავს“, –წერდა ვოლტერი (ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი). ცხადია, აზრის გადმოცემა, კომუნიკაცია ადამიანებთან თანამედროვე განათლებული ადამიანის სახეს ქმნის. ასეთი ადამიანების სამჭედლო კი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სწორედ სკოლაა. დღეს, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ზეპირმეტყველების განვითარება ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე. „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებამ მოზარდს უნდა განუვითაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი; სწორი წერისა და მეტყველების კულტურა; უზრუნველყოს დისკუსიებში მონაწილეობა, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარის გამომუშავება; უზრუნველყოს საკუთარი აზრის მკაფიოდ და ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვა.“ (კანონი ზოგადი განათლების შესახებ)

„სწავლების ერთ-ერთი აქტუალური მიზანი მოსწავლეთა ეფექტური ზეპირი კომუნიკაციის უნარის განვითარებაა. ეს ყველა საგნის და არა მარტო მშობლიური ენის ფუნქციაა, რადგან, ზოგადად, სწავლება ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს, რომელიც შეძლებს კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში ორიენტირებას, საკუთარი თვალსაზრისების მკაფიოდ და გასაგებად გამოთქმას. ამაზე ზრუნვა სწავლების ყოველ ეტაპზეა საჭირო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი დაწყებით საფეხურზე იძენს.“ (მაია ინასარიძე)

მეტყველების განვითარებაზე არაერთ პედაგოგიკის თეორეტიკოსს გამოუთქვამს შეხედულებები. ამ მხრივ აუცილებლად უნდა აღინიშნოს დ. უზნაძის მოსაზრებები. მისი აზრით, როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმწიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი-მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ მას გარედან არ მივაწოდეთ გარკვეული ენობრივი მასალა, მისი ფუნქციონალური ტენდენციის დაკმაყოფილება შეუძლებელია. უზნაძე მიიჩნევდა, რომ გარკვეული

ქცევის (მათ შორის, რა თქმა უნდა, სამეტყველო ქცევისაც-ხაზგასმა ჩემია) განმსაზღვრელი ადამიანის მთლიანპიროვნული მზაობა, ანუ მისი განწყობაა- „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“. დ. უზნაძის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ცხადია, მასწავლებლის, რომელსაც სურს მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის გაუმჯობესება, უპირველესი ვალდებულება მოსწავლეებისათვის სწორედ ამ განწყობის, მზაობის გამოწვევაა. კვლევისას ქართველი ფსიქოლოგის აღნიშნული შეხედულებები გამოვიყენე ინტერვეუების დაგეგმვისას.

სამეტყველო ქცევა, როგორც სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ესაა ენის აქტიური გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება, რაც გულისხმობს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის განვითარებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მე-5 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიზანია, გამოუმუშაოს მოსწავლეს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ სამეტყველო სიტუაციის მართებულად შეფასებისა და სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვისათვის, ნებისმიერ სოციალურ გარემოში წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად, კომუნიკაციის ძირითადი ხერხებისა და სტრატეგიების დასაუფლებლად. ენის სწავლების ეს კომპონენტი სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარება-განმტკიცებას ემსახურება. შესაბამისად, როდესაც სამეტყველო ქცევა პრობლემური ხდება, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენად დროულად და კომპეტენტურად მოხდება პედაგოგის ჩარევა პრობლემის მოგვარებაში.

„ არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა“ (არისტოტელე. „რიტორიკა“). ცხადია, ზეპირმეტყველება გამოხატვის სწორ და მისაღებ ფორმებს გულისხმობს. ლაპარაკი მხოლოდ სიტყვების სწორი წარმოთქმა არ არის, ილაპარაკო - ნიშნავს თქვა და მოისმინო. „მოსმენა პასუხის მომზადებას ნიშნავს. მომავალი სიტყვა ყურადღებიდან იზადება, ხოლო ყურადღება

თავისთავად სხვისი სიტყვების ანაბეჭდია”(ს. ვოლკონსკი). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი. მაგ. ნოამ ჩომსკის აზრით, მცდარია მოსაზრება, თითქოს ენის დაუფლება ბავშვის მიერ გარშემო მყოფთა გამონათქვამების მხოლოდ დამახსოვრებასა და საკუთარ მეტყველებაში იმიტირებას წარმოადგენდეს. უფროსების იმიტაციის მოდელი გულისხმობს, რომ ბავშვი იმახსოვრებს მზა ფრაზებს, ქმნის ცალკეული სიტყვებისა და შესატყვისობების ერთგვარ კატალოგს, რომელსაც სიტუაციისა და დროის მიხედვით იყენებს. ჩომსკი მიიჩნევდა, რომ ბავშვები დიდ პასუხისმგებლობას იღებენ თავზე ენის შესწავლისას. მეტყველება მიჩნეულია ადამიანის უნიკალურ მიღწევად, რომელიც ტვინის სტრუქტურებშია ამოტვიფრული და იგი თანშობილ, გენეტიკურად განპირობებულ უნარს წარმოადგენს.

მრავალი მეცნიერი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სწავლების გაუმჯობესება მასწავლებლის მიერ საკუთარი მაგალითის დემონსტრირებითაც მიიღწევა. მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება მასწავლებლის მეტყველებას. განათლების სპეციალისტები: რობერტ გოუერი და ჯონ საფიერი წიგნში „გამოცდილი მასწავლებელი“ აღნიშნავენ: „მასწავლებლის მეტყველება უნდა შეესაბამებოდეს დიქციის, წარმოთქმის, გადმოცემის, გრამატიკის, სინტაქსის და შესაბამისი სიტყვების შერჩევის მინიმალურ კრიტერიუმებს, რათა მოსწავლეებს ესმოდეოთ მასწავლებლის ნათქვამი“. გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს უნდა ესმოდეოთ, თუ რას ამბობს მასწავლებელი, ასევე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუ როგორ საუბრობს პედაგოგი. აღნიშნული წიგნის მიხედვით, კვლევები ადასტურებს იმ უარყოფით გავლენას მოსწავლეთა მეტყველებაზე, რაც მასწავლებლის მიერ მათ მეტყველებაში არსებულ ხარვეზებს მოსდევს. მასწავლებელი, როგორც მთავარი მოტივატორი და მაგალითის მიმცემი, საკუთარი მეტყველებით სწორ მიმართულებას უნდა აძლევდეს მოსწავლეთა სამეტყველო ქცევას.

განათლების სპეციალისტ დ. პერკინსის თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს იმას, რისი სწავლის ლოგიკური შესაძლებლობა და მოტივაციაც აქვს. ძლიერი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია: დამაჯილდოვებელი აქტივობები ან

დავლები, რომლებიც თავისთავად საინტერესოა მოსწავლისათვის ეხმარება მას მიზნების მიღწევაში. კვლევის პროცესში, ინტერვეციების დაგეგმვისას, ვითვალისწინებდი ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, რათა მოსწავლეებში სამეტყველო ქცევის გაუმჯობესებისათვის მიმედწია.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, განათლების სპეციალისტებისა და თეორეტიკოსების გამოცდილება და მოსაზრებები დამეხმარა კვლევის პროცესის წარმატებულად წარმართვაში.

კვლევის მეთოდები და ინტრუმენტები

კვლევა ჩავატარე ქ. ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის მე-6 საჯარო სკოლის მე-5/ზ კლასში 2018-2019 სასწავლო წელს. კვლევაში ჩართული იყო კლასის 29 მოსწავლე-12 გოგონა და 17 ვაჟი, კლასში სხსმ მოსწავლე არაა.

ჩემ მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო აღნიშნულ კლასში სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება. კვლევის შედეგი კი სამეტყველო ქცევის მართვის მიმართულებით მოსწავლეთა უნარების გაუმჯობესება და განვითარებაა.

მნიშვნელოვანია, რომ საკვლევი საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ კვლევაში ჩართული პერსონებისათვის, არამედ, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესისათვის. შესაბამისად, კვლევის შედეგები და გამოცდილება (კონკრეტული კლასის მაგალითზე) დაეხმარება აღნიშნული პრობლემის წინაშე მდგარ არაერთ პედაგოგს საკუთარ საკლასო სივრცეში განახორციელონ ინტერვეციები, ისარგებლონ იმ მეთოდებითა და ინსტრუმენტებით, რომლებიც კვლევისას იქნა გამოყენებული.

კვლევის დაწყების საწყის ეტაპზე შევადგინე ე. წ. დროის გეგმა, რაც დამეხმარა კვლევის ეტაპების მიზანმიმართულად წარმართვაში.

საკითხები	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
საკვლევი თემის შერჩევა	X							
ლიტერატურის მიმოხილვა	X	X	X	X	X	X		
ჰიპოთეზების, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების განსაზღვრა	X							
კვლევის მეთოდების განსაზღვრა		X						
მონაცემთა შეგროვება		X	X					
დასკვნებისა და მიგნებების გამოკვეთა			X					
ინტერვეციების დაგეგმვა და განხორციელება				X	X	X	X	X
ინტერვეციების შეფასება								X
კვლევის ანგარიშის მომზადება							X	X

კვლევის პროცესში საჭიროებისამებრ გამოვიყენე როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. საკვლევ საკითხთან მიმართებით მიზნობრივად გამოვიყენე ფოკუს ჯგუფი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მეთოდი და ანკეტირება(მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები).

კვლევის დასაწყისში ჩემი ინტერესის საგანი იყო გამომეკვლია სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) დამოკიდებულება და პოზიცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, გამომეკვეთა ტენდენციები, პრობლემური საკითხები და მომემზადებინა ეფექტური კითხვარი რაოდენობრივი კვლევისათვის.

თვისობრივი კვლევისას გამოვიყენე შემდეგი ინსტრუმენტები:

- ფოკუს ჯგუფი
- დაკვირვება
- ინტერვიუ

პირველ ეტაპზე ფოკუს ჯგუფისათვის შევადგინე კითხვარი, რომელიც შედგებოდა 5 კითხვისაგან. (კითხვარი იხილე დანართებში, დანართი N 1) ხანგრძლივობა დაახლოებით 1 საათი. ფოკუს ჯგუფის ჩატარების მიზანი იყო, მიმეღო მოსწავლეებისაგან ინფორმაცია, რომელიც დამეხმარებოდა კვლევის სწორად წარმართვასა და კვლევის შემდგომი კითხვარების შედგენაში.

მეორე ეტაპზე განვახორციელე დაკვირვება საგაკვეთილო პროცესსა და გაკვეთილებს შორის შესვენებებზე (თანატოლებთან სამეტყველო ქცევის მართვისა და კომუნიკაციის პრობლემის იდენტიფიცირებისათვის). კოლეგებთან კონსულტაციისა და შეთანხმების შემდეგ დავესწარი ბუნებისმეტყველების, ჩვენი საქართველოსა და ხელოვნების გაკვეთილებს. აღნიშნული გაკვეთილები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აღნიშნული საგნები საშუალებას იძლევა თხრობის, მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოხატვისა და ყურადღების მობილიზების.
- მოსწავლეების აზრით, ეს საგნები მათთვის საინტერესოა და ყველაზე მეტად ამ საგნების გაკვეთილებზე გრძნობენ თავს კარგად.

დაკვირვების მიზანი იყო გამერკვია, რამდენად პრობლემურია სამეტყველო ქცევა სხვა საგნებშიც, დამედგინა პრობლემის მასშტაბურობა.

მესამე ეტაპზე საკვლევი პრობლემის ანალიზისა და მოსწავლეთა სამეტყველო ქცევების მართვის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ინტერვეციების დაგეგმვაში კოლეგებისაგან რჩევების მისაღებად ინტერვიუ მქონდა მე-5/ბკლასის 3 მასწავლებელთან. (ჩვენი საქართველო, ბუნებისმეტყველება, ხელოვნება-15-20წთ). მათი რჩევები და რეკომენდაციები გავითვალისწინე ინტერვეციების განხორციელებისას.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი გამოვიყენე თვისებრივი კვლევის განხორციელების შემდეგ. რაოდენობრივი კვლევისათვის ავირჩიე ანკეტირება. ანკეტირებისას მოსწავლეების (მათი კვლევაში მონაწილეობის შესახებ მშობლები

წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი), მათი მშობლებისა და მასწავლებლებისაგან შევაროვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პრობლემების წინაშე დგანან მოსწავლეები ზეპირმეტყველებისას საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად. ანკეტირებით მიღებული ინფორმაცია დავაკავშირე საკვლევ პრობლემასთან და მათი გათვალისწინებით დავგეგმე პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ღონისძიებები. რაოდენობრივი კვლევისთვის მომზადდა კითხვარები თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის (კითხვარი იხილე დანართებში). მოსწავლეთა ზეპირმეტყველება და მასთან დაკავშირებული პრობლემები ერთნაირად აწუხებს და ეხება მოსწავლეებსაც, მასწავლებლებსაც და მშობლებსაც. ამიტომ იყო, რომ სამივე მხარე პასუხისმგებლობით მოეკიდა კითხვარების შევსებას.

კვლევის მონაცემთა ანალიზი

ფოკუს ჯგუფმა აჩვენა, რომ მოსწავლეები აცნობიერებენ ზეპირმეტყველების მნიშვნელობას. ყოველ კითხვაზე მოსწავლეები ღიად და გულწრფელად სცემდნენ პასუხებს. მოსწავლეთა უმრავლესობა თვლის, რომ წიგნების კითხვა აუცილებელია მათი განათლებისა და სწორი მეტყველებისათვის, თუმცა ხშირად არ კითხულობენ. ასევე მიაჩნიათ, რომ მოსმენა მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა. მათი თქმით:

- „ვიცი, რომ კითხვა კარგია, მაგრამ მეზარება“
- „კითხვა ძალიან მიყვარს, ვკითხულობ, მაგრამ არავის ვუყვები“
- „წიგნებს დედა მიკითხავს, შემდეგ კითხვებს მისვამს და ვპასუხობ“
- „მინდა ხოლმე აზრის გამოთქმა, მაგრამ მეშინია არასწორი არ იყოს, ამიტომ არ ვამბობ“
- „აზრის ხმამაღლა თქმას მირჩევნია, დავწერო“
- მოსმენა არ მიყვარს, მალე ვიღლები“.
- მასწავლებლები ხშირად მსაყვედურობენ, რომ მათთან საუბრისას არ ვიყენებ შესაბამის სიტყვებს.


მოსწავლეებთან საუბრისას ცხადი გახდა, რომ მათი სამეტყველო ქცევა და მისი მართვა, მართლაც, პრობლემურია. მოსწავლეები წუხდნენ იმის გამო, რომ ხშირად ვერ ახერხებენ საკუთარი მოსაზრებების სწორად გადმოცემას, რაც მათ პრობლემებს უქმნის როგორც კარგი შეფასების მიღებაში, ასევე თანაკლასელებსა და მასწავლებლებთან კომუნიკაციაში. უჭირთ თხრობა, რადგან ვერ ხვდებიან სათხრობ ტექსტებში არსებულ მათთვის გაუგებარ, უცხო სიტყვებს. ისინი გამოთქვამდნენ მზაობას აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად თანამშრომლობისათვის.

თვისებრივი კვლევის მეორე ეტაპი საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება იყო. წინასწარ შედგენილ იქნა გაკვეთილებზე დაკვირვების გეგმა (დანართი N4) კოლეგებს გავაცანი გაკვეთილებზე დაკვირვების მიზანი. მათ გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი და აღნიშნეს, რომ მათთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა დაკვირვების შედეგები (მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვა მათთვისაც პრობლემური იყო).

დაკვირვებამ გაამართლა ჩემი მოლოდინები. აღმოჩნდა, რომ პრობლემა მართლაც მასშტაბურია. იმას (სამეტყველო ქცევის მართვა), რასაც ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ვერ ახერხებენ მოსწავლეები, ვერ ახერხებდნენ ვერც აღნიშნული საგნების გაკვეთილებზე.

დაკვირვების შედეგებმა ლოგიკურად გამოიწვია ჩემს კოლეგებთან ინტერვიუს აუცილებლობა. ამ ინტერვიუებით შევიტყვე, რომ მოსწავლეებს სხვა საგნებშიც უჭირთ საკუთარი სამეტყველო ქცევის სწორად წარმართვა, რაც აქვეითებს მათ აკადემიურ მოსწრებას. ჩვენი საქართველოს პედაგოგის აზრით, მოსწავლეები ვერ ახერხებენ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გააზრებულად გადმოცემას, უჭირთ ისტორიული ტერმინების გამოყენება თხრობისას. ბუნებისმეტყველების პედაგოგისათვის მთავარი პრობლემა ყურადღების მობილიზებისა და სმენის კულტურის დაბალ დონეშია. ხელოვნების მასწავლებელი კი თვლის, რომ პრობლემა რეალურია და მისი საფუძველი წიგნიერების დაბალი კულტურაა.


კოლეგებთან ინტერვიუს შემდეგ საკვლევი საკითხის შესახებ შევიმუშავე ე.წ. პრობლემების ხე



მასწავლებლები შევჯერდით, რა შეიძლება იყოს აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ვისაუბრეთ პრობლემის მოგვარების გზებზეც. მასწავლებლებთან ინტერვიუებმა უფრო ცხადად დამანახა საკვლევი პრობლემა, მეტად დამაფიქრა პრობლემის გამოსწორების გზების ძიებასა და აუცილებლობაზე.

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი იყო ანკეტირება. როგორც უკვე აღინიშნა, ანკეტირებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები (მშობლების თანხმობით იხ. დანართი N5), მასწავლებლები და მშობლები. ანკეტირებისას გამოყენებულ იქნა კითხვარები, რომელთა ანალიზმა აჩვენა შემდეგი შედეგები:

კითხულობთ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?



მოსწავლეების უმრავლესობა-17 კითხულობს, მაგრამ იშვიათად, 7 მოსწავლე საერთოდ არ კითხულობს და მხოლოდ 5 არის აქტიური მკითხველი. კვლევის აღნიშნულმა მონაცემმა ნათელი გახადა მოსწავლეების ზერელე დამოკიდებულება წიგნების კითხვის მიმართ, რაც განაპირობებს წიგნიერების დაბალ დონეს და, შესაბამისად, მათი სამეტყველო ქცევის მართვაში არსებულ პრობლემებს. პრობლემური იყო მოსწავლეებისათვის ახალი სიტყვების აქტიური გამოყენება მეტყველებაში. მხოლოდ 6 მოსწავლე თვლის, რომ ეს შეუძლია. კლასის 29 მოსწავლიდან 11 მიიჩნევს, რომ მათი ლექსიკა მდიდარია. პრობლემა აღმოჩნდა მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება და მოსმენის დაბალი კულტურა. კლასიდან მხოლოდ 8 მოსწავლემ ჩათვალა, რომ შეუძლია, იყოს ყურადღებით, უსმინოს პედაგოგებსა და თანაკლასელებს.

მოსწავლეებმა ასევე პასუხი გასცეს კითხვას, რამდენად ახერხებენ საკუთარი სათქმელის სწორად გადმოცემას. პასუხების უმრავლესობა (21 მოსწავლე) იყო უარყოფითი. ცხადია, მოსწავლეების ასეთი დამოკიდებულება საკუთარი მეტყველებისადმი განაპირობებს მათ დაბალ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, აჩენს გარკვეულ კომპლექსებს, რომლებიც უარყოფითად


აისახება როგორც მათ აკადემიურ მაჩვენებლებზე, ასევე მათი სოციალური უნარების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ მათი პასუხი საგაკვეთილო დისკუსიებში მონაწილეობაზე ცალსახად უარყოფითია- 19 მოსწავლე აფიქსირებს, რომ არ იღებს მონაწილეობას საკლასო დისკუსიებში.

ანკეტირების შედეგების მიხედვით, მოსწავლეები იშვიათად (18 მოსწავლე) იყენებენ ახალ სიტყვებს მეტყველებაში. ამკარაა, რომ მწირი ლექსიკური მარაგი, გაუმართავი საუბარი და მსჯელობა მათ ხელს უშლის საკუთარი აზრის გადმოცემაში, რის გამოც ხშირად მოსწავლეები პასიურები ხდებიან საგაკვეთილო აქტივობებისას. საბოლოოდ კი მოსწავლეთათვის საკომუნიკაციო უნარები, რომლებშიც გადამწყვეტ როლს სწორედ ზეპირმეტყველება ასრულებს, ადარ არის მარტივი(17 მოსწავლე). ეს ყველაფერი ახალ პრობლემებს აჩენს მათ ცხოვრებაში, შესაბამისად, მათი მოგვარება მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მშობელთა ანკეტირებით მიღებული მონაცემები. ანკეტის კითხვარი შემუშავდა თითოეული მოსწავლის მშობლისათვის. მოსწავლეებს გავატანე კითხვარები მშობლებთან. ანკეტის ანონიმურობა მშობელთა გულახდილობისა და ობიექტურობის ხარისხს გაზრდას განაპირობებს.

ანკეტირებამ მაჩვენა, რომ მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული პრობლემები ნაცნობი და გასაგები აღმოჩნდა მშობლებისთვისაც. ისინიც ფიქრობენ, რომ მათი შვილების წიგნიერების დონე დაბალია, მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა(შვილებმა) ისაუბრონ გამართული სალიტერატურო ენით. აღმოჩნდა, რომ სწორი, გამართული ენით კომუნიკაციის პრობლემა ოჯახებშიც არსებობს. მშობლები გულახდილნი იყვნენ, როცა დააფიქსირეს, რომ იშვიათად ან არასოდეს ესუბრებიან შვილებს სასკოლო თემებთან დაკავშირებით. (მხოლოდ მცირე ნაწილმა დააფიქსირა, რომ ხშირად საუბრობს შვილთან).


მშობელთა ანკეტირების შედეგები



ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო ჩემი კოლეგების მოსაზრებები, ვინაიდან მიმაჩნია, რომ სწორედ მათი დახმარებითა და ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის დაძლევა. ანკეტირებამ აჩვენა, რომ მოსწავლეების სამეტყველო ქცევის სწორად მართვა ხშირად შეუძლებელია.

პედაგოგების აზრით, მოსწავლეები პასიურები არიან საკლასო დისკუსიების დროს; უმრავლეს შემთხვევაში ვერ ახერხებენ ახალი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას ზეპირმეტყველებისას; თხრობის, მსჯელობის, საუბრის დროს არ ხდება სამეტყველო უნარების სწორად გამოყენება; ძალზე დაბალია მოსმენის კულტურა.

მოსწავლეებელთა ანკეტირების შედეგები



დასკვნები, მიგნებები

კვლევის მონაცემთა ანალიზმა ჩემი გონივრული ეჭვები, ვარაუდები გაამყარა და გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული პრობლემების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი მოსწავლეთა წიგნიერების დაბალი დონეა;
- მწირი ლექსიკური მარაგი ხელს უშლის მოსწავლეებს საკუთარი აზრების სწორად ჩამოყალიბებაში;
- მოსწავლეები ვერ ახერხებენ ახალი სიტყვების გამოყენებას მეტყველებაში (ტრანსფერის უნარის არქონა);
- მოსწავლეები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ავლენენ ყურადღების დეფიციტს, დაბალია მოსმენის კულტურა;

წიგნიერების დაბალი დონე განაპირობებს სასწავლო პროცესის ბევრ სირთულეს. მოსწავლეთა მეტყველების გამართულობა, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება და დაფიქსირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სწორედ წიგნიერებაზე. ამიტომ პრობლემის აღმოსაფხვრელად წიგნიერების დონის ამაღლება აუცილებელ ამოცანად მესახება.

მოსწავლეები ხშირად არ ავლენენ საკლასო დისკუსიებსა თუ დებატებში მონაწილეობის სურვილს, თავს იკავებენ აზრის გამოთქმისაგან სწორედ იმიტომ, რომ არ აქვთ სათანადო ლექსიკური მარაგი, ვერ ახერხებენ სათქმელს შეურჩიონ გამოხატვის ფორმა. მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული ხარვეზები ამ მიმართულებით მუშაობასაც საჭიროდ ხდის.

ქართული ენისა ლიტერატურის სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე სისტემატური მუშაობა, თუმცა, მიუხედავად ამ მხრივ მუშაობისა, მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ახალი ლექსიკური ერთეულების დამკვიდრება საკუთარ მეტყველებაში, იციან სიტყვები, მაგრამ ვერ ან არ იყენებენ მათ. ცხადია, ამ მიმართულებითაც აუცილებელია პედაგოგთა ძალისხმევის წარმართვა.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობებისას მოსწავლეთა მხრიდან ყურადღების დეფიციტი, მოსმენის დაბალი კულტურა უარყოფითად აისახება სამეტყველო ქცევებზე. მოსმენა, როგორც ერთ-ერთი საკლასო აქტივობა, მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლა-სწავლების პროცესში. მოსწავლეები სმენით იძენენ არაერთ საჭირო უნარ-ჩვევას, ამიტომ ამ მხრივაც აუცილებელი გახდა ინტერვეციების განხორციელება.

ინტერვეციების აღწერა, შეფასება

ფოკუს ჯგუფების, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, ინტერვიუებისა და ანკეტირების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების შესაბამისად, დავგეგმე ინტერვეციები, რომლებიც მიმართული იყო კვლევის შედეგების დასკვნებიდან გამომდინარე არსებული პრობლემების აღმოფხვრისაკენ.

ინტერვეციები მოსწავლეთა წიგნიერების დონის ასამაღლებლად

მოსწავლეებში წიგნიერების კომპეტენციების განვითარებაში მნიშვნელოვანია ბევრი ფაქტორის გათვალისწინება. მათ შორის აუცილებლად მიმაჩნია ის, რომ მოსწავლეებმა არა მარტო კითხვით, არამედ მოსმენითაც შეძლონ, აღიქვან მხატვრული ტექსტი და ისიამოვნონ მისით. ეს ცალსახად ამაღლებს მოსმენის კულტურასაც. ამიტომ დავგეგმე ინტერვეციები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებში მხატვრული ტექსტის მიმართ როგორც ინტერესის გაღვივებას, ასევე ესთეტიკური გრძნობების გაჩენას. ინტერვეციების მიზანი იყო კითხვის, მსჯელობისა და მოსმენის უნარების განვითარება.

ინტერვეცია 1. მკითხველთა კლუბი

მიზანი: წიგნების კითხვის მიმართ ინტერესის გაჩენა, კითხვისა და მოსმენის უნარების განვითარება. ტექსტის გაგების, ანალიზის, მსჯელობისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

სკოლის ბიბლიოთეკარის დახმარებით კლასში ჩამოვაყალიბე კითხვის მოყვარულთა ჯგუფი, რომელიც სკოლის ბიბლიოთეკაში აწყობდა შეხვედრებს (თვეში ერთხელ). ამ შეხვედრების დროს მოსწავლეები განიხილავდნენ წაკითხულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. გარდა ამისა, ასევე თვეში ერთხელ ე.წ. კლასსაათებზე (მე-5/ბ კლასი სადამრიგებლო კლასია) ჯგუფის წევრები კლასის წინაშე კითხულობდნენ მონაკვეთებს წაკითხული ნაწარმოებებიდან, ურჩევდნენ თანაკლასელებს მათ წაკითხვას. აღნიშნული ინტერვეცია ხელს უწყობდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და კითხვისადმი ინტერესის გაჩენას, უმჯობესდებოდა მოსმენის

კულტურაც. მოსწავლეებს განუვითარდათ წაკითხულის ანალიზისა და მსჯელობის საწყისი უნარები.

ინტერვეცია 2. პოეზიის ხუთი წუთი

მიზანი: სამეტყველო უნარების გაუმჯობესება, ზეპირმეტყველებისას სწორი ინტონაციისა და დიქციის გამოყენების დაუფლება, მოსმენის კულტურის ამაღლება.

კვირაში ერთხელ მოსწავლეებს ვასმენინებდი მხატვრული კითხვის ოსტატების მიერ წაკითხულ პოეზიის ნიმუშებს. მოსწავლეები ყურადღებით ისმენდნენ, იღებდნენ ესთეტიკურ სიამოვნებას, ხოლო შემდეგ ცდილობდნენ, რომ მიებაძათ მათთვის. მათ ვამღევდი წინასწარ შერჩეულ ლექსებსა და მხატვრული პროზის ნიმუშებს, რომლებსაც ისინი მხატვრულად კითხულობდნენ. მოსწავლეები ინტერესითა და ხალისით მოეკიდნენ აღნიშნულ აქტივობას, თვითონაც არჩევდნენ ლექსებს, მოჰქონდათ კლასში და სიამოვნებით კითხულობდნენ. ეტაპობრივად მათი მეტყველებისა და სმენის კულტურა საგრძნობლად მაღლდებოდა, დაიხვეწა მათი სამეტყველო უნარები.

ინტერვეცია 3. საინტერესო თემა

მიზანი: საკუთარი მოსაზრებების სწორად, დასაბუთებულად, თავისუფლად გადმოცემის უნარ-ჩვევების დაუფლება.

მოსწავლეებს შევთავაზე დაეფიქსირებინათ, რა თემებზე სურდათ საუბარი საგაკვეთილო თემების პარალელურად, რა იყო მათთვის საინტერესო, რაზეც თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ისაუბრებდნენ. ამ იდეას ისინი ხალისითა და ინტერესით მოეკიდნენ. შემომთავაზეს რამდენიმე თემა, ძირითადად თავიანთი ბავშვური რეალობიდან გამომდინარე. მაგ. შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით, თავიანთ ინტერესებსა და გატაცებებზე, მეგობრებზე. მათთვის საინტერესო თემებზე სასაუბროდ ძირითადად სადამრიგებლო საათს ვიყენებდი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები უფრო მეტად აქტიურობდნენ და თავისუფლად საუბრობდნენ იმ თემებზე, რომლებიც მათთვის ნაცნობი და ახლობელი იყო.

აღნიშნული ინტერვეციის ფარგლებში მოსწავლეებს შევთავაზე იდეა, კლასში განხორციელებულიყო მინიპროექტი-დიდი ქართველები. პროექტის ფარგლებში

მოსწავლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ირჩევდნენ მათთვის საინტერესო პერსონას და კლასის წინაშე საუბრობდნენ მის ღირსებებსა და იმაზე, რატომ თვლიდნენ მას დიდ ქართველად. მათ ძირითადად წარმოადგინეს ქართველი მეფეები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ერთ-ერთმა გოგონამ კი ისაუბრა იმ ახალგაზრდა მამაკაცზე, რომელიც 2015 წლის თბილისის წყალდიდობის დროს საკუთარი მანქანით უანგაროდ ემსახურებოდა მოხალისეებს. (მან აღნიშნული ინფორმაცია მშობლებისაგან მიიღო, ხოლო შემდეგ ინტერნეტის დახმარებით უფრო მეტი შეიტყო ამის შესახებ). აღსანიშნავია მშობლების ჩართულობა ამ აქტივობაში.

აქტივობაში ჩართული იყო კლასის ყველა მოსწავლე. მათ სკოლის ბიბლიოთეკისა და ინტერნეტის მეშვეობით არა მხოლოდ მოიძიეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია, არამედ საკმაოდ დიდი ენთუზიამითა და მონდომებით ისაუბრეს იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც ისინი დიდ ქართველებად მიიჩნევდნენ. ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, სამი მოსწავლე აკეთებდა პრეზენტაციას კლასის წინაშე. კლასი ყურადღებით უსმენდა (მოსმენის კულტურა, ყურადღების მობილიზება) და აფასებდა ხუთბალიანი სისტემით. შეფასებისას მნიშვნელოვანი იყო, რამდენად დამაჯერებელი, საინტერესო და გამომსახველობითი იქნებოდა პრეზენტატორის საუბარი. შეფასებამ აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია და გახდა ის მათთვის მნიშვნელოვანი. პროექტის დასრულებისას გამოვავლინეთ გამარჯვებული მოსწავლეები.

ვფიქრობ, ამ აქტივობამ არა მხოლოდ გააუმჯობესა მოსწავლეთა სამეტყველო ქცევები, არამედ შემეცნებითი თვალსაზრისითაც ბევრი რამ შემატა მოსწავლეებს.

ინტერვეციები ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის

მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების ფარგლებში მნიშვნელოვანია მათი ლექსიკის გამდიდრებაზე ზრუნვა. ლექსიკაზე მუშაობა უწყვეტი პროცესია და, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი კლასებიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით გრძელდება. კარგი იქნება, თუ გაკვეთილებზე ლექსიკურ სავარჯიშოებს ხშირად დაეთმობა გარკვეული დრო. არ არის სასურველი, რომ მოსწავლეებს

ერთდროულად ბევრი ახალი სიტყვის დამახსოვრება მოსთხოვოს მოსწავლეებელმა. კვირის განმავლობაში რამდენიმე ახალ ლექსიკურ ერთეულზე მუშაობა, მათი გამეორება რამდენჯერმე და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, გაცილებით შედეგიანია, ვიდრე ერთდროულად რამდენიმე სიტყვაზე ვარჯიში.

ინტერვეცია 1. პატარა ლექსიკოგრაფი.

მიზანი: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ლექსიკის გამდიდრების მხრივ. მათი ჩართულობის გაზრდა. ლექსიკის გამდიდრება.

მოსწავლეებს გავაცანი ლექსიკონის სახეები, მათი შედგენის ტექნიკა, განსაკუთრებით განმარტებით ლექსიკონზე გავუმახვილე ყურადღება და დავავალე თვითონაც გაეკეთებინათ საკუთარი განმარტებითი ლექსიკონები. ლექსიკონებში ჩაწერდნენ იმ ახალ სიტყვებს, რომლებსაც ნახავდნენ წერილობით ტექსტებში, მოისმენდნენ. განმარტებებისათვის დაიხმარებდნენ პედაგოგებს, მშობლებს, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, ინტერნეტს.

საკუთარი ლექსიკონის შექმნა ძალზე საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. ისინი ერთმანეთთან თავს იწონებდნენ საკუთარი ლექსიკონებით, განსაკუთრებით ეამაყებოდათ სიტყვების სიმრავლე. რა თქმა უნდა, ლექსიკონების შედგენა თვითმიზანი არ ყოფილა, მთავარი ის იყო, რომ მათ სცოდნოდათ ახალი სიტყვები. ორ კვირაში ერთხელ ვამოწმებდი თითოეული მოსწავლის ცოდნას. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ იცოდა ლექსიკონში ჩაწერილი სიტყვები.

აღნიშნულმა აქტივობამ მოსწავლეების ლექსიკურ მარაგს არაერთი ახალი სიტყვა შემატა.

ინტერვეცია 2 - სიტყვების ყუთი

მიზანი: უკვე შესწავლილი ახალი ლექსიკური ერთეულების ცოდნის განმტკიცება.

მე-5 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ბოლო გვერდებზე განმარტებულია სიტყვები, რომლებიც გვხვდება ლიტერატურულ

ტექსტებში და, სავარაუდოდ, მათი მნიშვნელობა შეიძლება არ იცოდნენ მოსწავლეებმა. ტექსტების შესწავლისას ვაგალებდი, რომ ყველა სიტყვა, რომელიც სიმბოლურად იყო აღნიშნული ვარსკვლავით, მოეძებნათ სახელმძღვანელოს ბოლოს და მისი მნიშვნელობა ესწავლათ. მათ ცოდნას მომდევნო გაკვეთილზე ვამოწმებდი, თუმცა ამ ცოდნის განმტკიცების მიზნით თვეში ერთხელ ვატარებდი საერთო- საკლასო აქტივობას - სიტყვების ყუთი. უკვე შესწავლილ სიტყვებს ვწერდი ფურცლებზე, რომელსაც ვათავსებდი პატარა ყუთში, რომელსაც თვითონ ბავშვებმა საიდუმლო ყუთი შეარქვეს, შემდეგ თითოეული მოსწავლე თვითონ იღებდა ფურცელს, კითხულობდა სიტყვას და განმარტავდა მის მნიშვნელობას. თუ მოსწავლე ვერ უპასუხებდა, სიტყვა ბრუნდებოდა ყუთში. აქტივობა გრძელდებოდა მანამ, სანამ ყუთი არ დაცარიელდებოდა.

ინტერვეციები ტრანსფერის უნარის განვითარებისათვის

ცხადია, მრავალი სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა, მდიდარი ლექსიკური მარაგი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ეს ყველაფერი მოსწავლეთა სამეტყველო ქცევებში არ აისახა, თუ არ არ მოხდა მისი ტრანსფერი, თუ მოსწავლეთა მეტყველება არ გახდა გამართული, თუ მოსწავლეები ვერ ახერხებენ საკუთარი აზრის ნათლად გადმოცემას, მნიშვნელობას კარგავს. ამიტომ „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს“ (რუსთაველი) ლოგიკით მოსწავლეებს უნდა შევადლებინოთ, მეტყველებისას აუცილებლად გამოიყენონ და საკუთარი მეტყველების ნაწილი გახადონ ახალი ლექსიკური ერთეულები. სიტყვების სხვადასხვა სავარჯიშოსა და მრავალფეროვან კონტექსტში გამოყენების აქტივობებს გაცილებით უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე თვით ამ სიტყვების ან მათი განმარტებების დაზეპირებას.

ახალი სიტყვების მოსწავლის აქტიურ ლექსიკაში დასამკვიდრებლად არ კმარა მარტო ზეპირი სავარჯიშოების შესრულება, პარალელურად აუცილებელია მათი გამოყენება წერით დავალებებზე მუშაობისას, რათა ბავშვის მეხსიერებაში მოხდეს სიტყვის ვიზუალური ხატის დამახსოვრებაც. ზეპირი და წერითი აზროვნების სინთეზურად სტიმულირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არა მხოლოდ მოსწავლეთა

ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, არამედ მათ დამკვიდრებას ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკაში.

ინტერვენცია 1. დღის სიტყვა.

მიზანი: ახალი ლექსიკური ერთეულის გაცნობა, შესწავლა, გამოყენება.

ყოველი გაკვეთილის დაწყებისას დაფაზე ვწერდი ახალ, მოსწავლეთათვის უცნობ სიტყვას მსხვილი შრიფტით და თვალსაჩინო ადგილზე. მოსწავლეებს ვუხსნიდი მის მნიშვნელობას და ვთხოვდი, გაკვეთილის ბოლომდე მოეფიქრებინათ წინადადება, რომელშიც აღნიშნულ სიტყვას სწორი მნიშვნელობით გამოიყენებდნენ. სიტყვის მრავალჯერადი გამოთქმა-გამოყენება მოსწავლეებს მყარად ამახსოვრებდა მას.

ინტერვენცია 2- აღადგინე სიტყვა

მიზანი: ცოდნის გააქტიურება, ყურადღების მობილიზება.

მოსწავლეებს წყვილებში დავურიგე ფურცელზე დაბეჭდილი მცირე მოცულობის ტექსტი. მივეცი ხუთი წუთი იმისათვის, რომ ტექსტი კარგად დაემახსოვრებინათ. შემდეგ ტექსტი შევუცვალე იმავე ტექსტით, რომელშიც გამოტოვებული იყო რამდენიმე სიტყვა. დავალების პირობა იყო, აღედგინათ გამოტოვებული სიტყვები. მსგავსი სახის აქტივობებს ჰქონდა სისტემატური ხასიათი (კვირაში ერთხელ). აღსანიშნავია, რომ თავიდან მოსწავლეებს გაუჭირდათ დავალების შესრულება, ზოგი წყვილი მხოლოდ ერთი სიტყვის აღდგენას ახერხებდა. ეტაპობრივად მათი შედეგები გაუმჯობესდა და დავალებას მარტივად ართმევდნენ თავს.

ინტერვენცია 3.- პატარა მეზღაპრე

მიზანი: ტრანსფერისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

დაფაზე ვწერდი რამდენიმე (7-8) ახალ სიტყვას განმარტებებით. მოსწავლეებს ვთავაზობდი დაეწერათ პატარა ზღაპარი, რომელშიც გამოიყენებდნენ ჩამოთვლილი სიტყვებიდან რაც შეიძლება მეტ სიტყვას. აღნიშნული აქტივობა ხორციელდებოდა ორ კვირაში ერთხელ და ინტერვენციის ბოლო ეტაპზე ხშირად ხდებოდა, რომ მოსწავლე თავის ზღაპარში ყველა სიტყვას იყენებდა და იყენებდა მართებულიად.

ნებისმიერი აქტივობის წარმატებით განხორციელებისათვის, სწავლა-სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების საქმეში, მათ შორის, რა თქმა უნდა, მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული სირთულეების დასაძლევად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მხრიდან ყურადღების მობილიზებას, სმენის კულტურის მაღალ დონეს. შესაბამისად, საჭირო გახდა მოსწავლეებში ამ უნარების განვითარებაც.

ინტერვეციები ყურადღების მობილიზებისა და მოსმენის კულტურის ამაღლებისათვის

ინტერვეცია 1- მაინტერესებს, ვისმენ, ვიმეორებ

მიზანი: ინტერესის გამოწვევა და ყურადღების მობილიზება

როგორც უკვე აღინიშნა, პედაგოგის მეტყველება, მისი გამართულობა, ლექსიკურად მდიდარი მეტყველება ძლიერი ფაქტორი და სტიმულია მოსწავლის მეტყველების დასახვეწად. მოსწავლეები ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ყოველთვის ჰზამავენ თავიანთ მასწავლებლებს. ეს ფაქტორი გამოვიყენე ამ ინტერვეციის დაგეგმვისას. სისტემატურად, თითქმის ყველა გაკვეთილზე მოულოდნელად ვწყვეტდი საუბარს და მივმართავდი რომელიმე მოსწავლეს გაემეორებინა უცვლელად ჩემ მიერ ნათქვამი ბოლო წინადადება. გამომდინარე იქიდან, რომ მათ არ იცოდნენ, ვის მივმართავდი, ყველა ცდილობდა მაქსიმალური ყურადღებით ყოფილიყო გაკვეთილზე და ესმინათ ჩემთვის, რათა შემდეგ გაემეორებინათ ზუსტად ის და ისე, როგორც საუბრობდა პედაგოგი.

ამავე კონტექსტში შედეგიანი იყო თანამშრომლობა მშობლებთან, რათა შვილებთან ვერბალური კომუნიკაციისას მაქსიმალურად (შეძლებისდაგვარად) ესაუბრათ სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით (ბარბარიზმების, დიალექტიზმების, ჟარგონის გარეშე).


ინტერვეცია 2-სამკუთხედის სამი გვერდი.

მიზანი: მოსმენის კულტურის ამაღლება, მოსწავლეთა ინტერაქცია.

ინტერვეცია ხორციელდებოდა მრავალჯერადად (თვეში ორჯერ). მოსწავლეებს ვთხოვდი სამუშაო რვეულებში ჩაეხაზათ სამკუთხედი. ვამღევი მითითებას, რომ ჩემ მიერ წაკითხულ ტექსტში აღმოეჩინათ ერთი არსებითი სახელი (სხვა შემთხვევაში ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა), ერთი რთული სიტყვა და ერთი მათთვის უცნობი სიტყვა. აღნიშნული სიტყვები უნდა დაეწერათ სამკუთხედის გვერდებზე. კვითხულობდი უცნობ ტექსტს, მოსწავლეები ისმენდნენ და ასრულებდნენ დავალებას. აქტივობა აქტიურებდა მოსწავლეთა ყურადღებას, ზრდიდა ჩართულობის ხარისხს, იწვევდა ინტერესს ახალი, უცნობი სიტყვისადმი, შესაბამისად, ამდიდრებდა ლექსიკურ მარაგსაც.

ზემოთ აღნიშნული აქტივობების მრავალჯერადად გამეორებამ არა მარტო გააუმჯობესა მათი სამეტყველო უნარები, არამედ ერთგვარი სტიმული შესძინა მათ სასწავლო აქტივობებს, გახადა ისინი უფრო მოტივირებულები და აქტიურები. კოლეგებისაგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მათ გაკვეთილებზე მოსწავლეთა სამეტყველო ქცევა საგრძნობლად გაუმჯობესდა: ისინი საკუთარ აზრებს უფრო თავისუფლად, გასაგებად და სწორად აყალიბებენ. ჩემი კოლეგებისათვის საინტერესო აღმოჩნდა ჩემ მიერ განხორციელებული აქტივობები და აღნიშნეს, რომ აუცილებლად გამოიყენებდნენ თავიანთ საკლასო სივრცეში. ვფიქრობ, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში აუცილებლად გამოვიყენებ კვლევით მიღებულ გამოცდილებას სხვა კლასებშიც.

ინტერვეციების დაწყებამდე რაოდენობრივმა და თვისობრივმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეების წიგნიერების დონე იყო დაბალი, ლექსიკა-მწირი, მოსწავლეებს უჭირდათ ყურადღების მოზილიზება, დაბალი იყო ტრანსფერის უნარიც. ინტერვეციების შედეგის გასარკვევად მოსწავლეებთან კვლავ ჩავატარე გამოკითხვა და შევადარე ადრინდელ შედეგებს.



ინტერვეციების დაგეგმვამდე კლასის 29 მოსწავლიდან მხოლოდ 5 იყო აქტიური მკითხველი, ინტერვეციების შემდეგ მათი რაოდენობა გაიზარდა 19 მოსწავლემდე. პრეტესტის მიხედვით, 11 მოსწავლე თვლიდა, რომ ჰქონდა მდიდარი ლექსიკური მარაგი, პოსტტესტის მიხედვით, უკვე 23 მოსწავლე ფიქრობს ასე. ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენება მეტყველებისას შეეძლო მხოლოდ 6 მოსწავლეს, მათი რიცხვი 13-მდე გაიზარდა. ინტერვეციებამდე 8 მოსწავლე თვლიდა, რომ ახერხებდა ყურადღების მობილიზებას, ინტერვეციების შემდეგ 15 ფიქრობს, რომ გაკვეთილებზე შეუძლია, იყოს ყურადღებით.

პრეტესტისა და პოსტტესტის შედარების ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესებულია, რაც, ჩემი აზრით, პედაგოგიური კვლევის მთავარი შედეგია.

დასკვნა

სკოლის საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი არაერთ მიზანს ისახავს. ცხადია, ყველა მიზანი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. ყველა მიზნის ერთობლივი შედეგი კი განათლებული, თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეების აღზრდაა. ეს ყველაფერი სწორი, გამართული სამეცხველო უნარ-ჩვევების გარეშე შეუძლებლად მიმაჩნია. ამ ჩვევების ჩამოყალიბება კი თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ უპირველეს მიზნად მესახება. ამიტომ კვლევის დაგეგმვისას არჩევანი შევაჩერე სწორედ მოსწავლეთა სამეცხველო ქცევაში არსებულ პრობლემებზე. ვთვლი, რომ ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება და ინტერვეციები მე-5 კლასის მოსწავლეთა სამეცხველო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი იყო, პირველ რიგში, თვითონ მოსწავლეებისათვის, რადგან მათ ეს უნარები სჭირდებათ ყველა სასკოლო საგნის კარგად შესასწავლად, ასევე სოციალური უნარების განსავითარებლად, რაც ხელს შეუწყობს მათ თვითდამკვიდრებასა და პიროვნულ ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ კვლევის პროცესმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, მასწავლებლებსა და მშობლებში. კვლევის მიმდინარეობისას ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას, თანამშრომლობს სურვილს. აღსანიშნავია კვლევის პროცესის ეთიკური მხარე, რაც, ზოგადად, კვლევისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

კვლევამ გამოავლინა, რომ მოსწავლეთა მეტყველება მართლაც არის პრობლემური როგორც თვითონ ბავშვებისათვის, ასევე მათი პედაგოგებისათვის, რომ მუშაობა ამ მიმართულებით მართლაც დროული და აუცილებელი იყო.

კვლევის შედეგია ის, რომ მოსწავლეებმა:

- შეიყვარეს წიგნი, გახდნენ სკოლის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები;
- შეისწავლეს და შეძლეს ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენება მეტყველებისას;
- განუვითარდათ მხატვრული კითხვის უნარ-ჩვევები;

- გაუმჯობესდათ საკუთარი მოსაზრებების სწორად გადმოცემის უნარები;
- გაიზარდა მათი ჩართულობის ხარისხი საკლასო დისკუსიებში;
- გაუმჯობესდათ მოსმენის კულტურა;

აღნიშნული კვლევით მიღებული გამოცდილება გავუზიარე ჩემს კოლეგებს. რეკომენდაციის სახით აღსანიშნავია, რომ მათ თავიანთ საკლასო სივრცეში გამოიყენონ ის აქტივობები, რომლებმაც გარკვეული შედეგები მოიტანა მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში. აგრეთვე მნიშვნელოვანია სპეციალური ლიტერატურის გაცნობა, რაც მათ დაეხმარება საკუთარი პროფესიის სრულყოფასა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში. ჩემი კოლეგებისათვის მნიშვნელოვანი გახდა ჩემი გამოცდილება, რომელსაც ისინი, მათი თქმით, აუცილებლად გამოიყენებენ თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში.

კვლევა საინტერესო აღმოჩნდა ჩემი მოსწავლეების მშობლებისთვისაც. მათი აზრით, შვილების დაინტერესებამ წიგნებით მათ გაუჩინა მოტივაცია იმისა, რომ დაეხმარონ მათ საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნაში.

პირადად ჩემთვის ყველაზე დიდი შედეგი პედაგოგიური კვლევისა ჩემი მოსწავლეების გაუმჯობესებული შედეგები, მათი აქტიურობა და ამაღლებული მოტივაციაა, რათა თავიანთ სამეტყველო ქცევაში არსებული პრობლემები მინიმუმამდე დაიყვანონ. ამ გამოცდილებას აუცილებლად გამოვიყენებ ჩემს შემდგომ პედაგოგიურ საქმიანობაში სხვა კლასებთან მიმართებითაც.

კვლევის საბოლოო შედეგი კი არის ის, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მე-5 კლასში მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული პრობლემების მხრივ არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდა.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ პირს: ჩემს მოსწავლეებს, კოლეგებს, მშობლებს, სკოლის პედკოლექტივს, ადმინისტრაციას- მათი თანადგომისა და თანამშრომლობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- 1.ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური) 2018-2024 / <http://ncp.ge>
2. ვოლკონსკი ს. აზრის გამოხატვის სამეტყველო საშუალებები./
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe>
- 3.ინასარიძე მ. ზეპირმეტყველების განსავითარებელი სავარჯიშოები.
<http://www.kargiskola.ge>
- 4.ინტერნეტგაზეთი <http://mastsavlebeli.ge>
- 5.კანონი ზოგადი განათლების შესახებ <https://www.google.com>
6. პერკინსი დ. „თეორია ერთი“ / <http://mastsavlebeli.ge>
- 7.საგანმანათლებლო ვებ პორტალი <http://www.kargiskola.ge>
- 8.საფიერი ჯ. გოუერი რ. „ გამოცდილი მასწავლებელი“ / <https://library.iliauni.edu.ge>
9. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. თბ. 2005
<https://www.academia.edu>
10. ჩომსკი ნ. „ განათლების ორი დანიშნულება“. <http://intermedia.ge>

დანართი


დანართი 1

კითხვარი ფოკუს ჯგუფისათვის

1. რამდენად ხშირად კითხულობ კლასგარეშე ლიტერატურას?
2. საუბრობ თუ არა წაკითხული წიგნის შესახებ თანაკლასელებთან?
3. თხრობის, საუბრის, საკუთარი მოსაზრებების გადმოსაცემად გიშლით თუ არა ხელს გარკვეული სიტყვების უცოდინრობა?
4. შეგიძლიათ თუ არა თქვენ მიერ ნასწავლი ახალი სიტყვები გამოიყენოთ მეტყველებისას?
5. რამდენად ახერხებთ მასწავლებლის, თანაკლასელის მოსმენისას, იყოთ ყურადღებით?

დანართი 2.

პრობლემების ხე



დანართი 3

დროის გეგმა
2018-2019 სასწ. წელი

საკითხები	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
საკვლევი თემის შერჩევა	X							
ლიტერატურის მიმოხილვა	X	X	X	X	X	X		
ჰიპოთეზების, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების განსაზღვრა	X							
კვლევის მეთოდების განსაზღვრა		X						
მონაცემთა შეგროვება		X	X					
დასკვნებისა და მიგნებების გამოკვეთა			X					
ინტერვეციების დაგეგმვა და განხორციელება				X	X	X	X	X
ინტერვეციების შეფასება								X
კვლევის ანგარიშის მომზადება							X	X

დანართი 4

გაკვეთილებზე დაკვირვების გეგმა

სასწავლო საგანი	დაკვირვების თარიღი
ჩვენი საქართველო	ნოემბერი/2018წ.
ბუნებისმეტყველება	დეკემბერი/2018წ.
ხელოვნება	დეკემბერი/2018წ.

დანართი 5

მოსწავლის კვლევაში მონაწილეობაზე მშობლის თანხმობის ფორმა

ბატონო/ ქალბატონო-----გაცნობებთ, რომ კლასში ტარდება კვლევა, რომელმაც უნდა გამოავლინოს მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის მართვაში არსებული პრობლემები და ამ პრობლემების ანალიზის საფუძველზე დასახოს გზები მათ გასაუმჯობესებლად. კვლევისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსაზრებები. გთხოვთ, თქვენს შვილს დართოთ ნება მონაწილეობა მიიღოს კვლევაში. კვლევა ტარდება ანონიმურად.

მადლობა თანამშრომლობისათვის!

მშობლის/მეურვის პოზიცია : -----

მშობლის/მეურვის ხელმოწერა:-----

თარიღი:

დანართი 6

ანკეტირების კითხვარი მოსწავლეებისათვის

1.კითხულობ თუ არა კლასგარეშე ლიტერატურას?

ა) იშვიათად ბ) არა გ) დიახ

2.ხართ თუ არა აქტიური მკითხველი?

ა) დიახ ბ) არა

3.რატომ არის მნიშვნელოვანი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა?

4. ახერხებ თუ არა, რომ შენი სათქმელი სწორად გადმოსცე?

ა) იშვიათად ბ) არა გ) დიახ

5. შენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ საკუთარი აზრი სწორად და გასაგებად გამოხატო?

6. რამდენად ხშირად მონაწილეობ საკლასო დისკუსიებში?

ა) იშვიათად ბ) ხშირად გ) არასოდეს

7. შენი აზრით, რას აძლევს მოსწავლეს საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა?

8. ცდილობ თუ არა ახალი სიტყვების სწავლას და მათ გამოყენებას საკუთარ მეტყველებაში?

ა) იშვიათად ბ) არა გ) დიახ

9. რატომ არის მნიშვნელოვანი მეტყველებისას მდიდარი ლექსიკური მარაგი?

10. თვლით თუ არა, რომ თქვენი ლექსიკური მარაგი არის მდიდარი?

ა) დიახ ბ) არა

11. შეგიძლიათ თუ არა ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენება მეტყველებისას?

ა) დიახ ბ) არა

12. ახერხებთ თუ არა გაკვეთილის პროცესში ყურადღების მობილიზებას?

ა) დიახ ბ) არა

მადლობა ანკეტირებაში მონაწილეობისათვის!

დანართი 7

ანკეტირების კითხვარი მშობლებისათვის

1. კითხულობს თუ არა თქვენი შვილი კლასგარეშე ლიტერატურას?

ა) იშვიათად ბ) არასოდეს გ) ხშირად

2. რამდენად ხშირად საუბრობთ თქვენს შვილთან სასკოლო საგნებთან დაკავშირებით?

ა) ხშირად ბ) არასოდეს გ) იშვიათად

3. განიხილავთ თუ არა შვილთან ერთად წაკითხულ წიგნს?

ა) არასოდეს ბ) იშვიათად გ) ხშირად

4. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის შვილის ზეპირმეტყველების გამართულობა?

ა) ძალიან მნიშვნელოვანია ბ) ნაკლებად მნიშვნელოვანია გ) უმნიშვნელოა

5. საუბრობთ თუ არა ოჯახის წევრები გამართული სალიტერატურო ენით?

ა) ხშირად ბ) იშვიათად გ) არასოდეს

მადლობა ანკეტირებაში მონაწილეობისათვის!

დანართი 8

ანკეტირების კითხვარი მასწავლებლებისათვის

1. რამდენად სწორად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები სამეტყველო უნარებს?

ა) არასოდეს ბ) იშვიათად გ) ხშირად

2. იყენებენ თუ არა თქვენი მოსწავლეები მეტყველებისას ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს?

ა) არასოდეს ბ) იშვიათად გ) ხშირად

3.გამართულია თუ არა მოსწავლეების მეტყველება თხრობის, მსჯელობისა თუ საუბრის დროს?

ა) არასოდეს ბ) იშვიათად გ) ხშირად

4.აქტიურები არიან თუ არა მოსწავლეები საკლასო დისკუსიებსა თუ დებატებში?

ა) არასოდეს ბ) იშვიათად გ) ხშირად

5.ავლენენ თუ არა მოსწავლეები თანაკლასელისა და მასწავლებლის მიმართ მოსმენის მაღალ კულტურას?

მადლობა ანკეტირებაში მონაწილეობისათვის!

რეფლექსია

ყოველი პედაგოგისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია, იყოს მუდმივ მიებაში, სრულყოფდეს პროფესიულ უნარებს. მიმაჩნია, რომ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ამის საუკეთესო საშუალებაა.

პედაგოგიური მოღვაწეობა არაერთი კვლევის ჩატარების საშუალებას იძლევა. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი უამრავი პრობლემის წინაშე დგება, მათი გადაჭრა კი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე დადებითად აისახება. ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა განაპირობა იმ საკმაოდ მწვავე პრობლემამ, რომელიც ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის განმავლობაში არაერთხელ გამოკვეთილა. ესაა მოსწავლეთა სამეტყველო ქცევაში არსებული პრობლემები.

სასწავლო პროცესის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მოსწავლეებს სწავლების სამივე საფეხურზე ხშირად უჭირთ საკუთარი აზრის ნათლად და გამართულად გადმოცემა, თავიანთი სამეტყველო უნარების სწორად წარმართვა. კვლევის მიზანი იყო ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გამოკვეთა, გაანალიზება, შეფასება და მათი გადაჭრის გზების დასახვა. შემდგომ ეტაპზე კი მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში, ასევე ამ გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის.

კვლევაში ჩართული იყო მე-5 კლასის მოსწავლეები, მათი მშობლები და ჩემი კოლეგები. კვლევა წარიმართა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. კვლევის სამიზნე ჯგუფად შევარჩიე მე-5 კლასი, დაწყებითი საფეხური, რადგან, მიმაჩნია, რომ სწორედ ამ საფეხურზე უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა, რათა შემდგომ საფეხურებზეც იმავე სირთულის წინაშე არ აღმოვჩნდეთ. ამასთან აღნიშნული კლასის დამრიგებლის სტატუსი გამიადვილებდა კვლევის წარმატებით განხორციელებას

კვლევის საწყის ეტაპზე კვლევის მიზნისა და ამოცანის განსაზღვრის შემდეგ

კოლეგებთან კონსულტაციის შედეგად გამოკვეთეთ პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები და ის მთავარი კითხვა, რომელზეც პასუხი იქნებოდა კვლევის დანიშნულება.

გავეცანი შესაბამის მეთოდურ ლიტერატურას. კვლევის შემდგომ ეტაპზე განვსაზღვრე კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები. კვლევისას გამოვიყენე როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები და შესაბამისი ინსტრუმენტები, ისინი მოვარგე კვლევის მიზანსა და კონკრეტული კლასის საჭიროებებს, მიღებული შედეგების საფუძველზე კი გავაკეთე დასკვნები. ფოკუს ჯგუფთან შეხვედრამ, ანკეტირებამ, გაკვეთილებზე დაკვირვებამ, გაამართლა ჩემი ვარაუდები. როგორც აღმოჩნდა, პრობლემა მართლაც არსებობს და ის აქტუალურია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მათი მშობლებისა და ჩემი კოლეგებისათვის.

სადიაგნოსტიკო პრეტესტის შედეგებმა გამოკვეთა მოსწავლეთა სამეტყველო ქცევაში არსებული პრობლემის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი: მოსწავლეთა წიგნიერების დაბალი დონე, მწირი ლექსიკური მარაგი, ტრანსფერის უუნარობა, ყურადღების დეფიციტი.

კვლევის შემდგომი ეტაპი მიღებული დასკვნების გათვალისწინებით შესაბამისი ინტერვეციების დაგეგმვა და განხორციელება იყო. განხორციელდა თითოეული დასკვნის რელევანტური ინტერვეციები, რომელთა მიზანი გამოკვეთილი პრობლემის მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. ინტერვეციები წარიმართა პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

წიგნიერების დონის ასამაღლებელმა ინტერვენციებმა გაზარდა მოსწავლეების დაინტერესება კლასგარეშე ლიტერატურის კითხვის მიმართ. ისინი სკოლის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები და მკითხველთა კლუბის აქტიური წევრები გახდნენ. მშობელთა ჩართულობის წყალობით დაიწყო საკუთარი საოჯახო ბიბლიოთეკის შექმნა. მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი საგრძნობლად გამდიდრდა განხორციელებული ინტერვეციების შედეგად, მათ გამოუმუშავდათ მხატვრული კითხვის უნარ-ჩვევები. შეძლეს ახალი ლექსიკური ერთეულების გამოყენება მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდათ მოსმენის კულტურა, გაიზარდა ინტერესი საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და საკლასო დისკუსიებში ჩართულობისადმი.

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების გარდა, მოსწავლეთა გაუმჯობესებული სამეტყველო უნარები და აქტიურობა თვალსაჩინო გახდა სხვა სასწავლო საგნებშიც (ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნეს კოლეგებმა).

კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მიღებული შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის. კვლევის მიმდინარეობისას მათთან მუდმივი კონტაქტი მქონდა. არაერთხელ მივმართე დახმარებისა და კონსულტაციისათვის, ისინიც მუდამ მზად იყვნენ დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

კვლევის დასრულების შემდეგ კათედრის სხდომაზე ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს გავუზიარე ის შედეგები, რომლებიც კვლევისას მივიღე. აღსანიშნავია, რომ ჩემი კოლეგებისათვის აქტუალური იყო ის პრობლემა, რომელზეც კვლევისას ვიმუშავე, დაინტერესდნენ შედეგებით, განხორციელებული ინტერვენციებით. აღნიშნეს, რომ ინტერვენციისას გამოყენებულ აქტივობებს აუცილებლად გამოიყენებენ თავიანთ საკლასო სივრცეში, გამოთქვეს სურვილი ამ მიმართულებით შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელებისა.

კვლევის შედეგები გავუზიარე სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს პედსაბჭოს სხდომაზე. PowerPoint-ის პროგრამით მომზადებული პრეზენტაციით მათ გავაცანი პრობლემის არსი, მისი აქტუალურობა და მნიშვნელობა. ვისაუბრე კვლევის მიმდინარეობასა და შედეგებზე. აღმოჩნდა, რომ ანალოგიური პრობლემა სხვა საგნისა და კლასის პედაგოგებსაც ჰქონდათ. პედაგოგების უმრავლესობისათვის საინტერესო იყო, რა შედეგები შეიძლებოდა მიგვეღო სხვა საკლასო სივრცეში ანალოგიური კვლევის განხორციელებისას. მათგან რჩევის სახით გამოითქვა სურვილი, რომ კვლევა განმეხორციელებინა სხვა კლასშიც, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებ. პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა, რომ თვითონაც თავიანთი პროფესიული საქმიანობისას გამოიყენონ პრობლემის მოსაგვარებლად ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები.

აღნიშნული კვლევით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვინც ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას. ვთვლი, რომ კვლევა მნიშვნელოვანი იყო ჩემი პროფესიული ზრდისათვის, კვლევაში მონაწილე მოსწავლეების, მათი მშობლებისა და

კოლეგებისათვის. ჩემი აზრით, კვლევის დადებითი მხარე და მთავარი შედეგი ჩემი მოსწავლეების გაუმჯობესებული სამეტყველო უნარ-ჩვევებია.